

**ZAKARIA CHICHINADZE AND THE PROBLEMS OF THE  
DENATIONALIZATION OF THE GEORGIANS**

**(ANTI-GEORGIAN AFFAIRS OF THE ARMENIAN CATHOLICS)**

**ზაკარია ჭიჭინაძე და ქართველთა დენაციონალიზაციის  
პრობლემები (სომეხ კათოლიკეთა ანტიქართული საქმიანობა)**

**Sergo Vardosanidze**

PhD, Doctor of Historical Sciences Professor of  
Tbilisi Theological Academy and Seminary  
Tbilisi, Georgia.

ORCID ID: 0000-0003-0579-5458  
(+995)599575190; sergovar@gmail.com

**Abstract**

In the lengthy history of the Georgian people, the XV and XVIII centuries were especially hard because of the division of the country into small political units, such as the provincial kingdoms and principalities and the isolation of the patriarchates of Mtskheta and Likht-Imereti, as well as Samtskhe church from the unified Georgian Church. At that time two conquerors from the south, Iran and the Ottomans, were conquering Georgian territories and forcibly converted the Georgian population to Islam. The desperate population, hoping for help from Europeans, converted to the Catholic faith on the advice of papal missionaries, although they could still praise God in Georgian with the Georgian Typicon. The situation changed in the sixteenth century when Pope Paul III entrusted the Georgian parish to the Armenian UNITOR Catholics. Historian Zakaria Chichinadze exposed the perfidies of the Catholic Armenians, who forbade the Georgians to worship in the Georgian language and started the 'Armenization' of the Georgians.

The Catholic Armenians almost completely Armenianized the Georgian Catholics of Artvin, Ardagan and Nigali valleys and for this purpose, used even threats, terror, bribery, slander, presented the history of the Caucasus and Georgia in a crooked mirror. This is particularly true with the members of the Congregation of the Mechitarists, who successfully convinced European scholars and Roman popes with their fabricated fantastic stories. Zakaria Chichinadze, together with Mikheil Tamarashvili, Ivane Gvaramadze and Petre Kharischirashvili, fought against this treacherous policy of Armenian Catholicism, whose goal was to denationalize the Georgian nation, and protected the identity of the Georgian nation.

**Key words:** the Pope, Armenian UNITOR members, Zakaria Chichinadze, Mikheil Tamarashvili, Ivane Gvaramadze, Petre Kharischirashvili.

## სერგო ვარდოსანიძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისის სასულიერო  
აკადემიის და სემინარიის პროფესორი.  
თბილისი, საქართველო  
ORCID ID: 0000-0003-0579-5458  
+995599575190; sergovar@gmail.com

### აბსტრაქტი

ქართველი ერის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში განსაკუთრებით უმძიმესი იყო მეთხუთმეტე-მეთვრამეტე საუკუნეები, როდესაც ქვეყანა დაშლილი იყო მცირე პოლიტიკურ ერთეულებად-პროვინციულ სამეფო-სამთავროებად, ამას დაერთო ერთიანი ეკლესიის ადგილზე მცხეთის და ლიხთ-იმერეთის საპატრიარქოების, სამცხის ეკლესიის ცალკე გამოყოფა. ამ დროს სამხრეთიდან ორი დამპყრობელი ირანი და ოსმალეთი იტაცებდნენ ქართულ ტერიტორიებს და იქაურ ქართულ მოსახლეობას იძულებით ამაჰმადიანებდნენ. სასოწარკვეთილი მოსახლეობა ევროპელთა დახმარების იმედად რომის პაპის მისიონერების რჩევით კათოლიკურ სარწმუნოებაზე გადადიოდა, თუმცა მათ კვლავ ქართული ტიპიკონით შეეძლოთ უფლის ქართულ ენაზე დიდება, ვითარება შეიცვალა მეთექვსმეტე საუკუნეში, როდესაც რომის პაპმა პავლე მესამემ საქართველოს სამწყსოსომეხკათოლიკეუ ნითორებს ჩააბარა. ისტორიკოსი ზაქარია ჭიჭინაძე ამხელს სომეხ კათოლიკეთა ვერაგობას, რომელთაც ქართველებს აუკრძალეს ქართულად წირვა-ლოცვა და დაიწყეს მათი გასომხება. სომეხმა კათოლიკეებმა თითქმის სრულად გაასომხეს ართვინის, არდაგანის და ნიგალის ხეობის კათოლიკე ქართველები, ისინი არ ერიდებოდნენ ტერორს მუქარას, მოსყიდვას, ცილისწამებას, კავკასიის და საქართველოს ისტორიის მრუდე სარკეში წარმოსახვას, განსაკუთრებით მხითარისტების კონგრეგაციის წევრები, რომელნიც ევროპელ მეცნიერებს და რომის პაპებს აჯერებდნენ თავიანთ შეთხზულ ფანტასტიკურ ისტორიებს. ზაქარია ჭიჭინაძე მიხეილ თამარაშვილთან, ივანე გვარამაძესთან და პეტრე ხარისჭირაშვილთან ერთად აქტიურად ებრძოდა სომეხ კათოლიკეთა ვერაგულ პოლიტიკას, რომლის მიზანი იყო ქართველი ერის დენაციონალიზაცია და იცავდა ქართველი ერის თავისთავადობას.

**საკვანძო სიტყვები:** რომის პაპი, სომეხი უნითორები, ზაქარია ჭიჭინაძე, მიხეილ თამარაშვილი, ივანე გვარამაძე, პეტრე ხარიჭაშვილი.

### შესავალი

XV –XVIII საუკუნეებში პოლიტიკურად დაშლილ საქართველოს სამეფო-სამთავროებში საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ერთიანი იურისდიქცია აღარ ვრცელდებოდა, ირანი და ოსმალეთი მათ მიერ დაპყრობილ ქართულ მიწებზე მცხოვრებ ჩვენ თანამემამულეებს იძულების წესით ამაჰმადიანებდნენ, გამონაკლისი იყო კათოლიკობა, ან სომხურ ქრისტიანობაზე გადასვლა, სომეხმა კათოლიკეებმა ისარგებლეს რომის პა-

პების ნდობით და იძულების წესით დაიწყეს ქართველთა გასომხება XIX საუკუნეში ქართველი ერის დენაციონალიზაციის პროცესმა სახიფათო სახე მიიღო.

სტატიაში დღემდე გამოუქვეყნებელი საარქივო მასალების შესწავლის საფუძველზე ნაჩვენებია სომეხ კათოლიკეთა ანტიქართული საქმიანობა, რომელიც მიმართული იყო ქართველი ერის დენაციონალიზაციისაკენ და როგორ უპირისპირდებოდნენ მათ ქართველი კათოლიკე მეცნიერები.

### **მეთოდი**

სტატია ეფუძნება ისტორიულ-შედარებით, რეტროსპექტულ და შინაარსობრივი ანალიზის მეთოდს, ასევე, ემპირიული მასალის კრიტიკულ გააზრებასა და განზოგადებას.

### **შედეგები**

1. სტატიაში გაანალიზებულია XV-XIX საუკუნეებში საქართველოში შექმნილი რთული პოლიტიკური და რელიგიური ვითარება, 2. ნაჩვენებია ირან-ოსმალეთის აგრესიის ფონზე სომეხ კათოლიკეთა მიერ ქართული მოსახლეობის ასიმილაცია, 3. მხიტარისტების კონგრეგაციის მიერ რომის პაპის კარზე საქართველოს რელიგიურ-პოლიტიკური ვითარების მრუდე სარკეში ჩვენება, 4. ქართველ მეცნიერთა (ზაქარია ჭიჭინაძე, მიხეილ თამარაშვილი, პეტრე ხარისჭირაშვილი, ივანე გვარამაძე) მიერ სომეხ-კათოლიკეთა ზრახვების მხილება და ბრძოლა ქართველი ერის დენაციონალიზაციის წინააღმდეგ.

### **მსჯელობა და დასკვნები**

XV-XIX საუკუნეებში ქართველი ერი უდიდესი გამოწვევების წინაშე დადგა. ირან-ოსმალეთის აგრესიას თან დაერთო ერთიანი ქართული სახელმწიფოსა და მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის დაშლა. შუა საუკუნეებში გავრცელებული შეხედულებით, ქართველი მხოლოდ მართლმადიდებელ ქრისტიანთან ასოცირდებოდა. არადა ამ დროს შექმნილ, რთულ პოლიტიკურ-რელიგიური ვითარებიდან გამომდინარე, ბევრი ჩვენი თანამემამულე დამპყრობლებმა აიძულა გამაჰმადიანებულიყო. იყვნენ ისეთებიც, ვინც გამაჰმადიანებისაგან თავს კათოლიკობაზე გადასვლით და რომის პაპის ქვეშემდგომობით ცდილობდა.

ამ რეალობაში უხდებოდა ცხოვრება ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაშლილ „პროვინციულ საქართველოებს“. საზოგადოების მოაზროვნე ნაწილი გრძნობდა, რა უბედურებას მოუტანდა ასეთი გათითოვაცება ჩვენ ხალხს, მაგრამ, სამწუხაროდ, დაიკარგა ქვეყნის გამაერთიანებელი იდეა, ქართველი ერის დენაციონალიზაციამ შეუქცევადი სახე მიიღო. გამაჰმადიანებული ქართველები ირანისა და ოსმალეთის სამეფო კარზე იყვნენ დაწინაურებულნი, კათოლიკობაზე გადასულნი საქართველოს მომავალს ევროპაში ხედავდნენ, მართლმადიდებლობაზე დარჩენილნი კი ახალ „მესამე რომიდან“ - მოსკოვიდან - ელოდნენ ხსნას. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, შუა საუკუნეებში ქართველი ერის დენაციონალიზაციის

საქმეში თავისი წვლილი შეიტანეს სომეხმა კათოლიკეებმა. შუა საუკუნეებში მომხდურ მტრებთან წარუმატებელი ბრძოლები აიძულებდა სომეხებს მასიურად დაეტოვებინათ თავიანთი მიწა-წყალი და სხვადასხვა ქვეყნებში ემებნათ თავშესაფარი. მათ ჰქონდათ შემგუებლობის საოცარი უნარი და სწრაფად ახერხებდნენ ახალ სახელწიფოებრივ სივრცეში ინტეგრირებას, თუმცა სომხური ეკლესიის მეშვეობით ინარჩუნებდნენ საკუთარ ეროვნულ იდენტობას, ისტორიულ მეხსიერებას, სადაც არ უნდა ეცხოვრათ, სულიერად რჩებოდნენ ეჯმიანის, კილიკიის საკათალიკოსოების, იერუსალიმის და სტამბულის სომხური საპატრიარქოს იურისდიქციაში.

XV საუკუნიდან იტალიასა და ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში გაჩნდა სომხური დასახლებები. ეთნიკური სომხების ის ნაწილი, რომელთაც კათოლიკური სარწმუნოება მიიღეს, აქტიურ სავაჭრო და კულტურულ საქმიანობაში იყვნენ ჩართულნი. რომის პაპებმა ხელსუფლებდნენ აღმოსავლეთის ქრისტიანულ ქვეყნებში კათოლიკური სარწმუნოების გავრცელებას. ჯერ კიდევ 1328 წლიდან, რომის პაპ იოანე XXII-ის ბრძანებით, თბილისში დაარსდა კათოლიკური საეპისკოპოსო, რომლის ხელმძღვანელად დაინიშნა იოანე ფლორენციელი, რომელმაც, მიხეილ თამარაშვილის ცნობით, კარგად იცოდა ქართული ენა და აქაური ტრადიციები. აქედან მოყოლებული XVI საუკუნემდე 13 ეპისკოპოსი გამოიკვალა. ქართველ კათოლიკებს ჰქონდათ ქართული ტიპიკონი, ქართული კათოლიკური მონასტრები, სასულიერო სასწავლებლები. „პროვინციული საქართველოები“ გაჭირვებით, მაგრამ მაინც ახერხებდნენ მაჰმადიანური რკალის გარღვევას და ცივილიზებულ ევროპასთან ურთიერთობას.

XVI საუკუნის დასაწყისში შექმნილი რთული პოლიტიკური ვითარების გამო, საქართველოში შეფერხდა ევროპელი კათოლიკე მისიონერების შემოსვლა, გაუქმდა თბილისის კათოლიკური საეპისკოპოსო. ამ ვითარებით კარგად ისარგებლეს სომეხმა კათოლიკეებმა, რომელნიც დაუახლოვდნენ რომის პაპს, კათოლიკე ეპისკოპოსებს, ისარგებლეს მათი ნდობით და 1701 წელს, ვენეციის მახლობლად, სან-ლაზაროს კუნძულზე კათოლიკე ბერის მხითარ სებასტიანელის მონდომებით, შეიძინეს მამული, სადაც დააფუძნეს „მხითარისტების“ მონასტერი, კონგრეგაცია. 1717 წლიდან მათი ნაწილი გადავიდა ვენაში. „მხითარისტებმა“ დაიწყეს სომხეთის ისტორიის, სომხური ლიტერატურის თარგმნა ინგლისურ, იტალიურ, ფრანგულ, გერმანულ, ესპანურ ენებზე და თანდართულ გამოკვლევებში ტენდენციურად წარმოაჩინდნენ კავკასიის ისტორიის აქტუალურ საკითხებს. მათი მიზანი იყო, ევროპელი მკითხველისთვის შეექმნათ წარმოდგენა, თითქოს კავკასიაში ანტიკური და ქრისტიანული ცივილიზაციის შემქმნელი მხოლოდ სომეხი ერი იყო. სამწუხაროდ, დღემდე ჩვენი ინერტულობის და თავმოუბმელობის გამო, ევროპელ მკვლევართა ნაშრომებში საქართველოს ისტორიის, ქართული ლიტერატურის, ზოგადად ქართული კულტურის აქტუალური პრობლემებზე საუბრისას, იგრძნობა „მხითარისტების“ გავლენა.

სომეხებს, როგორცვაჭრობა-ხელოსნობის მიმდევრებს, განსაკუთრებული მფარველობა ჰქონდათ ირანისა და ოსმალეთის იმპერიებში, ამიტომ რომის პაპებმა გადაწყვიტეს დროებით საქართველოს კათოლიკური სამწყსო სო-

მეხი კათოლიკეების ეპისკოპოსისათვის ჩაებარებინათ. 1546 წელს, რომის პაპ პავლე III-ის ბრძანებით, საქართველოს კათოლიკური სამწყსო სომეხ უნითორ ეპისკოპოს სტეფანეს გადაეცა. „ჩვენის სრულის ნდობით და არა თქვენის ანუ სხვების თხოვნით, ჩვენის გულმოწყალებით გნიშნავთ თქვენ ჩვენს სამოციქულო საყდრის ნუნციოდ და ორატორად და გგზავნით ხსენებულ მეფეებთან და მათ თითოეულს სამთავროსა და სამფლობელოში... ამ წერილის ძალით განიჭებთ ყველა პრივილეგიას, რომელნიც კანონის მიერ ანუ ჩვეულებით აქვთ და ექნებათ მომავალში ყველა ჩვენსა და სამოციქულო საყდრის ნუნციოებს და ორატორებს, ვიდრე ჩვენი და სამოციქულო საყდრის სურვილი არის.“ (თამარაშვილი, 1902:75)

ამ დროს სომეხ კათოლიკეებს ალეპოში უკვე 1740 წლიდან ჰქონდათ სომხური კათოლიკური საპატრიარქო, რომელიც ფართო ავტონომიით სარგებლობდა. პაპის წერილით გულმოდგემული სომეხი უნითორები საქართველოში შემოვიდნენ და ქართველ კათოლიკეთა ნების წინააღმდეგ, რომელნიც საუკუნეთა მანძილზე ქართული ტიპიკონით სარგებლობდნენ, დაიწყეს მოსახლეობის სომხურ ტიპიკონზე გადაყვანა და გასომხება. ქართველი ერი უდიდესი განსაცდელის წინაშე დადგა: ირანი და ოსმალეთი დაპყრობილ ქართულ მოსახლეობაში ავრცელებდა მაჰმადიანობას, ეჟ-მიაწინის და კონსტანტინოპოლის სომხური საპატრიარქოები - მიაფიზიტობას (გრიგორიანელობას). ამას დაემატნენ სომეხი კათოლიკეები, რომლებიც რომის პაპის სახელით მოქმედებდნენ. 1700 წლის 20 მარტს პატრიარქინალდო ლეთინელი რომის პაპის კანცელარიაში გაგზავნილ წერილში დაუფარავად წერდა: „ტფილელი მწვალებელი სომხები არ ცხრებიან და ახალ რამეებს იგონებენ ჩვენის კათოლიკეების შესაწუხებლად. ტფილისში მცხოვრები ერთი ვარტაპეტი, სახელად მესროფ, ყოველ დღე სწყევლის რომის პაპს, ყველა მეფეებს და რომის კათოლიკეებს, ერსაც ურჩევნ ასე ჰქნას... რომ შემეძლოს, ამ მწვალებელს სომხებს არცერთს იტალიაში ფეხს არ დავადგმევინებ, რადგან ამათგანი ვინც კი იტალიაში რჩება, სრულებითაც არ ჰხედავენ ეგოდენ დიდ, კეთილს და სულიერს მოქმედებას, რაიც აქაურ ეკლესიებში სრულდება, არამედ უწმინდურებთან მიდიან და ხედავენ მარტო იქაურ ბოროტ ჩვეულებას. როდესაც აქ ბრუნდებიან, წყევლის მეტს არაფერს ამბობენ, რათა ჩვენ დიდად შეგვარცხვინონ. გარდა ამისა, იტალიაში დიდი მკრეხელობის ცოდვასაც ჩადიან, ვინაიდან იქ თავს აჩვენებენ კათოლიკედ, ღვთისა და თავიანთი თავის მოსატყუებლად აღსარებას ამბობენ და ზიარებას ღებულობენ, ხოლო როდესაც აქ ბრუნდებიან, წინანდელზე უფრო უბოროტესი მწვალებლები ხდებიან“ (თამარაშვილი, 1902:302-303) თუ XII-XV საუკუნეებში საქართველოში კათოლიკე მისიონერები კათოლიკურ სარწმუნოებასთან ერთად ევროპულ კულტურას, ცივილიზაციის მიღწევებს აცნობდნენ ქართველებს და არც მათ „გაფრანგებას“ ცდილობდნენ, XVI საუკუნიდან კათოლიკე სომხებმა დაიწყეს ქართული ენის დევნა-შევიწროება და ქართველების გასომხება. ამ გზაზე ვინც მათ გადაელობებოდა, არავის არ ინდობდნენ. ცნობილი ქართველი ისტორიკოსი ზაქარია ჭიჭინაძე, მიხეილ თამარაშვილთან, ივანე გვარამაძესთან და პეტრე ხარისჭირაშვილთან ერთად, ენერგიულად



შეებრძოლა სომეხ კათოლიკეთა ამ ვერაგულ პოლიტიკას, ამხილა ისინი და დაიცვა ქართული ეროვნული ინტერესები. ამ მხრივ ბევრ საინტერესო ინფორმაციას გვაძლევს მის არქივში დაცული მასალები. ზაქარია ჭიჭინაძე განსაკუთრებით საშიშად მიიჩნევდა „მხითარისტების“ კონგრეგაციას და წარმოაჩინდა მათ ანტიქართულ გეგმებს. მისი თქმით: „მხითარისტების ძმობამ იტალიაში დიდი ფული და ქონება დააგროვა, მათ იქ გახსნეს სომეხ კათოლიკეთათვის სემინარია, უმაღლესი აკადემიაც, სომხური სტამბა, სომხური სამკითხველო, სომხური მუზეუმი, სომხის ღარიბთა თავშესაფარი სახლი, შეკრიბეს იქ სხვადასხვა სომხის კათოლიკეთა სჯულის ძმობის წევრნი, ამ წრეს მათ მისცეს ცხარე სომხური ნაციონალური მიმართულება... ისინი იქცნენ სომხის ნაციის მფარველებად ოსმალეთში, ავსტრიაში, იტალიაში, სლავიანთა ქვეყნებში, პოლონეთში... მათ ააღორძინეს სომხური ნაციონალური მიმართულება“. (ზ.ჭიჭინაძის ფ.4869:11)

ზაქარია ჭიჭინაძის დასკვნით, ქართველ კათოლიკეთა გასომხების მზაკვრული გეგმები „მხითარისტების“ კონგრეგაციაში იწერებოდა.

„მხითარისტები“ ყველანაირად ცდილობდნენ რომის პაპის კარზე მისულ ქართველ კათოლიკეთა მიმართ ცილისწამებას. ამის მაგალითად მოჰყავს ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის (ნიკიფორე ირბახის) ისტორია, როდესაც ამუკანასკნელმა პაპურბან VIII-ს ქართულისტამბის გახსნისათვის დახმარება თხოვა. ეს ამბავი სომეხმა კათოლიკებმა შეიტყვეს და პაპს მოახსენეს: „თქვენს უნეტარესობისათვის რაც ნიკოლოზ ქართველს ცნობები მოუხსენებია, იგი სიმართლეს მოკლებულია. იქ, იმ ადგილებში, სადაც ნიკოლოზ ქართველი ასახელებს, რომ იქ ქართველები ცხოვრობენ, არის შუაგული სომხეთი, ამის გარდა, საქართველოს სატახტო ქალაქად წოდებული ტფილის ქალაქიც არის სომხური ქალაქი, მართალია, იქ ქართველი მეფობა არის და მეფე განაგებს, მაგრამ სულ სომხების საკუთრება არის და იქ ქართველების არაფერი არ გახლავთ. რაც შეეხება სტამბის არქონას, ეს ამბავი მართალია, ქართველებს ქართული სტამბა არ აქვთ, ხოლო საქართველო იქ კი არ არის, არამედ დასავლეთ იმერეთში და მის ჩრდილოეთით კავკასიის მთებში... პაპი ამაზე გაჯავრებულა, ნიკოლოზ ქართველმა რატომ იკადრა ასეთი ტყუილიო, ამიტომ სტამბის გახსნის საკითხი შეფერხდა.“ (ზ.ჭიჭინაძის ფ.4869:12)

ზაქარია ჭიჭინაძის ცნობით, რომში კარდინალების შეკრებაზე, ნიკოლოზ ქართველს ღირსეულად დაუცავს ქართველი ერის ეროვნული ინტერესები, დაწვრილებით უსაუბრია საქართველოს ისტორიაზე, ქართულ ცივილიზაციაზე, რომელიც კარდინალებს ჭეშმარიტებად მიუღიათ. ამის შემდეგ დადებითად გადაწყვეტილა ქართული სტამბის გახსნის საკითხი. 1629 წელს იქ გახსნილ ქართულ სტამბაში დაიბეჭდა იტალიურ-ქართული ლექსიკონი. ამ მარცხის მიუხედავად, სომეხი კათოლიკეები რომის პაპის კარზე და ევროპის ქვეყნებში კვლავ აგრძელებდნენ საქართველოს ისტორიის ფალსიფიკაციას, საქართველოში კი - ქართველთა გასომხებას. სომეხი კათოლიკეები საქართველოს სხვადასხვა პროვინციებიდან ნიჭიერ ქართველ ახალგაზრდებს სასწავლებლად აგზავნიდნენ სან-ლაზაროსა და ვენის „მხითარისტების“ სასწავლებლებში, საიდანაც ისინი რელიგიურ-კულტურულად გასომხებული ბრუნდებოდნენ და აქტიუ-

რად ცდილობდნენ თანამემამულეების გასომხებას. როგორც ზაქარია ჭიჭინაძე გულისტკივილით შენიშნავდა: „სომხურ კათოლიკობაზე გადასულ ქართველებს აყვარებდნენ ყველაფერ სომხურს და აზიზდებდნენ საქართველოს, ქართველ ერს, ქართულ ენას, ქართულ ისტორიას და იმასაც ავალებდნენ, რომ ამ უსამართლობას, ვითომც გაქართველებულ სომეხთა თავის ეროვნებაზე დაბრუნებას, თქვენ უნდა უშველოთ... 1670 წლიდან „მხითარისტების“ სასწავლებლებიდან გამოსული გადაგვარებული ქართველები შეესივნენ ართვინის, არდაგანის, შავშეთის, ლაზისტანის სოფლებს და იქაურ გაკათოლიკებულ ხალხს დაავიწყეს ქართული და გაასომხეს“. (ზ.ჭიჭინაძის ფ.4869:13) ზაქარია ჭიჭინაძის აზრით, იგივე გეგმები ჰქონდათ კათოლიკე სომეხებს ქართლსა და კახეთში, ოღონდ აქ უკვე ეჯმიანის საკათალიკოსოსთან კოორდინაციით მოქმედებდნენ.

XVIII საუკუნეში გამოჩნდნენ ეროვნებით ქართველი სასულიერო პირები, რომელთაც დამთავრებული ჰქონდათ „მხითარისტების“ სასულიერო სასწავლებლები, მაგრამ ცდილობდნენ ქართველობის შენარჩუნებას. ისინი სომეხ კათოლიკეთა ტერორის მსხვერპლი გახდნენ. ზაქარია ჭიჭინაძის ცნობით, „მამა ივანე გარსევანიშვილი, შავშელი, ეს მღვდელი ქართველობდა და საყდარშიც ქადაგებდა ქართულად, რომ ჩვენ სომეხი კათოლიკენი კი არ ვართ, ქართველები ვართ. ამაზედ გადაეკიდნენ მას სომეხები და 1779 წლის 5 თებერვალს მოწამლეს. მომკვდარა სომეხებისაგან. ასეა მოხსენიებული იმ დროის კონდაკში. პატრი ალიოზი - გაქართველებული, რომში გაზრდილი ქართველების დამცველი, ასევე სომეხებისაგან მოწამვლით მოკლული. პეტრე შაჰყულიანი - მოქართულე არქიმანდრიტი, რომელსაც გადაუდგნენ სომხის კათოლიკე არქიმანდრიტები ხეტინი და ჯულანინი, ამისი მოკვლაც უნდოდათ, მაგრამ ვერ გაუბედეს, მერე დასწამეს რუსულ სჯულში გადასვლა და კათოლიკეებს შეაჯავრეს“. (ზ.ჭიჭინაძის ფ.4869:14) სამწუხაროდ, იყვნენ გადაგვარებული ნაქართველარებიც, რომელთაც თავი გამოიჩინეს ანტიქართული საქმიანობით. მაგალითად, მღვდელი ამაზასპ საფარაშვილი, მათი წინაპარი მაჭახელადან იყო, მაგრამ ამაზასპი (სომხურ კათოლიკობაზე გადასული საფარიანი) სომხურ ენაზე გამოცემულ წიგნში აბასთუმანსა და ასპინძას სასომხეთის ნაწილად მიიჩნევდა. რაფაელ ფაფაზიანი - ძველი გვარით მიცოშვილი, რომელმაც თავის მოგზაურობის წიგნში ასეთი რამ დაწერა: „მე დავიარე ოსმალეთის სომხეთი და აჭარაში, ნიგალის ხევსა და სხვა ადგილებში ვნახე, რომ ხალხში გავრცელებულია სომხური ენა... მანვე სომხეთის რუკაში მოაქცია მთელი სამცხე-საათაბაგო, აჭარა, ნიგალისხევი“. (ზ.ჭიჭინაძის ფ.4869:14)

ზაქარია ჭიჭინაძის დაკვირვებით, სომეხმა კათოლიკეებმა სამხრეთ დასავლეთსაქართველოს ქართველი მოსახლეობის დიდი ნაწილი გაასომხეს. ისინი ევროპის ქვეყნებში გამოცემულ წიგნებში დამახინჯებულად წარმოადგენდნენ საქართველოს ისტორიას და დაუფარავად იბრძოდნენ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიის სრული არმენიზაციისათვის. ზაქარია ჭიჭინაძის დასკვნით, საქართველოში სომეხთა პრივილეგირებულ მდგომარეობაზე ხშირად ქართველი მეფეებიც ზრუნავდნენ. როგორც ის აღნიშნავს: „ეს ამბები მე სულ ზეპირის ცნობებით მაქვს შეკრებილი, მისი

მოლაპარაკენი იყვნენ თვით მეფის მომსწრენიც და მათ ძლიერ ბევრი ამბები იცოდნენ როგორც ქართველი ხალხის ცხოვრების შესახებ, ასევე მეფე ერეკლეს გმირულ ვაჟკაცობებზეც“ (ზ.ჭიჭინაძის ფ.4869:15). მისი დახასიათებით, იმდროინდელი ქართული საზოგადოება გარუსების გზაზე იდგა და ყველას რუსული ენის დარდი აფიქრებდა და რუსული „პაგონები“ ენატრებოდა, მათ არ ეცალათ აღეწერათ ის სავალალო ისტორია, რომელიც ერეკლე II-ის დროს ქართლ-კახეთში სომხების მომძლავრებას უკავშირდებოდა. მეფე ერეკლე სომხებთან ძალიან იყო დაახლოებული, ზოგს თავადობა უბოძა, ზოგს - აზნაურობა. როდესაც რუსები შემოვიდნენ, სომხები ისე იყვნენ გაძლიერებულნი, რომ ახალმა დამპყრობელმა ისინი კარგად გამოიყენა ქართული სამეფო-სამთავროების მოსასპობად. XIX საუკუნეში კი ქართველი ერი უმძიმესი განსაცდელების წინაშე აღმოჩნდა - სამეფო-სამთავროების გაუქმება, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის მოსპობა, დაუფარავი რუსიფიკაცია. ამას დაერთო რუსების მიერ კავკასიაში სომხებისათვის განსაკუთრებული ხელშეწყობა ეჯშიაწინის საკათალიკოზოს დახმარებით. აღმოსავლეთ საქართველოში სომეხი ვაჭრები ჩალის ფასად ყიდულობდნენ ქართულ მიწებს და ადგილობრივ მოსახლეობას უკანასკნელ სარჩო-საბადებელს პირიდან აცლიდნენ. მიხეილ თამარაშვილის მართებული დასკვნით „რუსეთის მთავრობა გამუდმებით ეძებდა გზებს ევროპელი მისიონერების თავიდან მოსაშორებლად. იგი ვერ იტანდა თავის იმპერიაში უცხო სასულიერო პირების ყოფნას, მათ პირდაპირ კავშირს რომთან“ (თამარაშვილი, 1995:716) კათოლიკე სომხებმა დააჯერეს რუსეთის საიპერატორო ხელისუფლება, რომ ქართველი კათოლიკენი ბუნებაში არ არსებობდნენ და ვინც არიან, ისინი გაქართველებული სომხებია. 1886 წელს რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრს გამოაცემინეს ბრძანება საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ კათოლიკურ ტაძრებში ქართული ენის აკრძალვის შესახებ. ეს დადგენილება ძალაში შევიდა 1891-1892 წლებში. ამ დადგენილების შემდეგ სომეხმა კათოლიკეებმა უფრო დაუფარავად დაიწყეს ქართველ კათოლიკეთა გასომხება. სამწუხაროდ, იმ დროს ურთიერთდაპირისპირებაში შთანთქმულმა ქართულმა საზოგადოებამ ბოლომდე ვერ გაიაზრა, რა კატასტროფის წინაშე დადგა ქართველი ერი. უმრავლესობამ ქართველ კათოლიკეთა ინტერესების დაცვა მხოლოდ მათ კერძო საქმეთ მიიჩნია. ქართველ კათოლიკეთაგან ივანე გვარამაძემ, პეტრე ხარისჭირაშვილმა, მიხეილ თამარაშვილმა დაიწყეს რომის პაპის და რუსეთის საიმპერატორო კარის წინაშე ნამდვილი საისტორიო საბუთებით იმის მტკიცება, თუ როგორ აყალბებდნენ ნამდვილ ისტორიას სომეხი მეცნიერნი თუ სასულიერო პირნი, მაგრამ სომხებს უკვე თბილისი და აღმოსავლეთ საქართველო სომხეთად მიაჩნდათ და სომხური ნაციონალური ბურჟუაზია სომხურ ეკლესიასთან ერთად დიდ ფინანსებს დებდა ქართველთა ხარჯზე „ახალი დიდი სომხეთის“ შესაქმნელად. მიხეილ თამარაშვილმა 1902 -1904 წლებში გამოცემულ ნაშრომებში ვატიკანის, რომის, პარიზის, მადრიდის არქივებში არსებული უნიკალური დოკუმენტების საფუძველზე აღადგინა ქართველ კათოლიკეთა მრავალსაუკუნოვანი ისტორია. სამწუხაროდ, არც მას დაკ-



ლებია დევნა-ცილისწამება და შეურაცხყოფა. თბილისში გამომავალმა სომხურმა გაზეთმა „მშაკმა“ სცადა მისი ნაშრომების აზუჩად აგდება, რასაც თამარაშვილმა აკადემიური პასუხი გასცა: „ძლიერ გვაკვირვებს ბატონი ავტორის თავგასულობა, რომ თვით რომის წმ. საყდარს რჩევას აძლევს, რომ გაქართველებულ კათოლიკებს ძალა დაატანოს, რათა მიუბრუნდნენ თავიანთ სომხურ დედა ენას და ტიპიკონსაო. მამა ნაჰაპეტიანს ჰგონია, რომის კარდინალები მასავით ვენეციის „მხითარისტების“ უნივერსიტეტებში გაწვრთნილნი იყვნენ, საცა სხვას არას სწავლობენ, თუ არა სომხურ უზომო პატრიოტობას და ყველაფრის გასომხებას“ (თამარაშვილი, 1904:253).

ზაქარია ჭიჭინაძე, აღმსარებლობით მართლმადიდებელი, კარგად ხვდებოდა, რა საფრთხის წინაშე იდგა ქართველი ერი, ამიტომ თავის წერილებში ამხელდა სომეხ კათოლიკეთა ანტიქართულ საქმიანობას და ქართველ ერს მეტი სიფხიზლისაკენ მოუწოდებდა. 1917 წლის 2 ნოემბერს, სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქმა კირიონ II რომის პაპ ბენედიქტე XV-სადმი გაგზავნილ წერილში გამოესარჩლა ქართველ კათოლიკებს: „იმედი მაქვს, რომ შენი უწმიდესობა არ უგულვებელყოფს ქართველ კათოლიკებს, მათ მრავალგვარ სარწმუნოებრივ-ეროვნულ საჭიროებებს“ (გ.ლეონიძის სახ.ლიტერატურის მუზეუმი: 2783).

2021 წლის 25 ოქტომბერს ბეირუთში, აკურთხეს სომხური კათოლიკური ეკლესიის ახალი კათალიკოს-პატრიარქი არქიეპისკოპოსი რაფაელ პიედროს XXI, რომელმაც კურთხევაზე განაცხადა, რომ გაააქტიურებს თავის საქმიანობას სომხეთსა და საქართველოში. ახალნაკურთხი კათალიკოს-პატრიარქი უკვე შეხვდა რომის პაპ ფრანცისკეს, ყოველთა სომეხთა უმაღლეს პატრიარქ-კათალიკოსს გარეგინ II-ეს, კილიკიის დიდი სამეფო სახლის კათალიკოსს არამს, სტამბულის სომეხთა პატრიარქს არქიეპისკოპოსს საჰაკ II-ეს, ესტუმრა „მხითარისტების“ კონგრეგაციას. ამ შეხვედრებზე ათანხმებენ სომეხი ერის, სომხური სახელწიფოს მომავალი განვითარების გეგმებს, ყველგან ხაზგასმით საუბრობენ, რომ მათთვის პრიორიტეტია სომეხი ერის ერთიანობა და ფოკუსირება სომხური სახელმწიფოს წინაშე არსებულ გამოწვევებზე. ჩვენ კი ამ დროს რას ვაკეთებთ? თითქმის არაფერს, სამწუხაროდ არიან ადამიანები, რომლებიც აცხადებენ: ჭეშმარიტი ქართველი მხოლოდ მართლმადიდებელია, ეს მიდგომა სახიფათოა ჩვენი ეროვნული ერთიანობისათვის, რა ვუყოთ ქართველ მაჰმადიანებს, კათოლიკებს, სხვა აღმსარებლობის ქართველებს? უარი ვთქვათ მათზე?.. გამოუჩნდებიან მათ პატრონები და ეს კიდევ უფრო გააღრმავებს ქართველი ერის დენაციონალიზაციის პროცესს.

### დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

tamarashvili,m(1902) *istoria katokikobisa qartvelta shoris*. tbilisi . (თამარაშვილი, მ. (1902). *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*. თბილისი).

tamarashvili,m. (1995) *saqartvelos eklesiis istoria*. tbilisi. თამარაშვილი, მ.(1995) *საქართველოს ეკლესიის ისტორია*. თბილისი.

tamarashvili,m.(1904) *pasuxad somkhis mtserlebs, romlebits uarkofen qartvelta katolikobas*. tbilisi. (თამარაშვილი, მ. (1904). *პასუხად სომეხ მწერლებს, რომლებიც უარყოფენ ქართველთა კათოლიკობას*).

fondi N4869. giorgi leonidzis sakhelobis literaturis muzeumi. ფონდი 4869 გიორგი ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმი),

fondi N2783. giorgi leonidzis sakhelobis literaturis muzeumi. ფონდი 2783 გიორგი ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმი.